

113  
2000



# პ რ ი ლ ი


№1 (146)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

ფასი 50 თეთრი

✓ 85  
(1-8)

# #1 2000



# პ რ ი ლ ი

ანდრო გუანიძე

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

# ორიონი

საზოგადოებრივი ლიბრარია  
ასოციაცია "ორიონი" გაერთიანება

ორიონი - დასავლეთელი სიმინდეთა(ნა)  
სულხან-საბა

ორიონი - მისი შუქი, რამეზე დამდგარი  
ძველი 960ს  
განმარტებითი ლექსიკონი

## მთავარი რედაქტორი შადიმან შამასაძე

### სარედაქციო საბჭო

- მალხაზ ხარბედაი (მთრედაქტორის მოადგილე)
- ლევან აბაშიძე
- ია ანთაძე
- ირმა არნუაშვილი
- ანდრო ბუაჩიძე
- გია გორგოძე
- თამაზ ვასაძე
- დათო ზურაბიშვილი
- ნინო ზურაბიშვილი
- ზაზა თვარაძე
- ვასტანგ კომახიძე
- დავით ნინიკაშვილი
- (პასუხისმგებელი მდივანი)
- ზვიად რატიანი
- ირაკლი სამსონაძე
- სოზარ სუბელიანი
- ზაზა ფარუაშვილი
- ზაზა ქილაძე

დირექტორი  
მიხეილ ჩიტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;  
ფაქსი: 98-67-90;  
e-mail: kavkasio@orioni.com.ge  
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



№1(146) ნოემბერი, 17 თებერვალი, 2000  
გაგონის ორ კვირაში ერთხელ

ია ანთაძე რატომ უჭერს მხარს არძინბა შევარდნაძეს.....	1
სოზარ სუბელიანი ტაქტიკური დათმობები სტრატეგიის შესანარჩუნებლად.....	3
ნინო ზურაბიშვილი რუსეთსა და აქართველოს შორის ეკონომიკური საზღვრები წაიშალა.....	5
ზაზა ფარუაშვილი ძველი გვარდია მაინც არ ნებდება!.....	6
მარცინ კრული რა სჭირთ ევროპელ მემარჯვენეებს.....	7
ანდრო ბუაჩიძე პოეზიაზე ფიქრის უფლება.....	9
ომარ თურამაშვილი ნარსულის ილუსტრაციები (ნანყვეტი რომანიდან).....	11
თამაზ ვასაძე თანაზიარობა.....	15
პაულ ცვლანი ლექსები.....	18
ემილ მიხეილ ჩორანი შეგვედრები პაულ ცვლანთან.....	21
მორის ბლანშო თარგმანის შესახებ.....	22
ზაზა თვარაძე ლექსები.....	25
შოთა იათაშვილი ქართული "ფრანკენშტაინი" გოგებაშვილისა და ფანჯიკიძის თანხლებით.....	27
"მე უფრო ტრაქტატს ვწერ, ვიდრე პიესას" საუბარი ელჰარდ ოლგისთან.....	30

# რატომ უჭერს მხარს არძინაზა შევარდნაძეს

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ვლადისლავ არძინაზმა ვაჟა ლორთქიფანიძესთან შეხვედრა ითხოვა და მეტისმეტად უცნაური განცხადება გააკეთა: იგი მხარს უჭერდა ედუარდ შევარდნაძეს.

არძინაზის მოულოდნელმა თანადგომამ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ ქართული საზოგადოება აფხაზთა ლიდერის გულწრფელობაში დააეჭვა. შევარდნაძისადმი მისი მხარდაჭერა დღევანდელი პრეზიდენტის რეიტინგის დაწვევის გამიზნულ მცდელობადაც კი შეგახდა.

\*\*\*

მაგრამ ვლადისლავ არძინაზს ეს უცნაური გადაწყვეტილება არაგულწრფელად აღარ მოგვეჩვენება, თუკი დღეს არსებულ რეალობაში მთელ კონტექსტს გავითვალისწინებთ.


საქართველოში ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც გადამწყვეტს, თუ რა მიმართულებით, როგორი კურსით განვითარდება ქვეყანა უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, რომელი სახელმწიფო იქნება საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და, შესაბამისად, რომელი ქვეყნის პოზიციების განმტკიცდება თუ დასუსტდება საპრეზიდენტო კავკასიაში.

ტრადიციულად, კავკასიაზე პრეტენზიას აცხადებს რუსეთი, რაც საჯაროდ გამოდამირ აღიარა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნაზე.

საქართველო, ბოლო წლების განმავლობაში, სერიოზულად უშლის ხელს რუსეთის კავკასიური გეგმის განხორციელებას. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აფერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო ვიზიტის დროს - 1999 წლის სექტემბერში - კლენტონთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აფერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უფრო მეტად კია, ვიდრე სტრატეგიული თანამშრომლობა.

ამ რეალობაში, ცხადია, რუსეთი დანტერესებულია საპრეზიდენტო არჩევნებით საქართველოში. უფრო კონკრეტულად, რუსეთი დანტერესებულია, საქართველოს ისეთი პრეზიდენტი შავადეს, რომელიც, შევარდნაძისგან განსხვავებით, გაცილებით მეტად გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს კავკასიაში.

10 იანვარს გაზეთმა "კვირის პალიტრა" გამოაქვეყნა ინტერვიუ ერთ-ერთ უმნიშვნელოეს საბჭოს ინფორმაციისა და ანალიზის სამსახურის უფროსის მოადგილესთან ჯიმი ვილიამს-ვილიამს. ამ უბუღკავიანი ვკითხვოლობთ: "ელცინის გადადგომამდე



არდენიმე ხნით ადრე, რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა ვინაობაში ვლადიმირ პუტინის მონაწილეობით გაიმართა თათბირი, სადაც კავკასიურ პრობლემებზე მსჯელობისას ითქვა შემდეგი: თუ შევარდნაძე მეორე საპრეზიდენტო ვადით იქნება არჩეული, რუსეთი სამუდამოდ დაკარგავს კავკასიას". მართალია, ამ ინფორმაციის ავტორი ბატონი ჯიმი ვილიამსი კი არა, ჟურნალისტიკა, რომელიც წყაროს არ უთითებს, (რაც ინფორმაციის სანდოობის ხარისხს ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს), მაგრამ საიდუმლო მასალების გამოშვებების გარეშეც აშკარაა, რომ რუსეთი გულგრილი არ არის საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ.

თუმცა, დამაფიქრებელია, რომ ამ ეჭვში, როგორცაა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთ თვეც აღარ რჩება, რუსეთის კვალ ნინასაარჩევნო პროცესში, ჯერჯერობით, თითქმის არ ჩანს.

\*\*\*

საპარლამენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძესთან დასხელმწიფო კურსთან დამორიპირების ცენტრი ჩამოყალიბდა ბათუმში და არაერთი საჯარო ინფორმაციით დადასტურდა, რომ ბლოკ "საქართველოს აღორძინების" იდეოლოგია დიდწილად ემხიბვოდა რუსეთის ინტერესებს.

მოსალოდნელი იყო, რომ საპრეზი-

დენტო არჩევნებშიც რუსეთის ინტერესები თავს იჩენდა ბათუმური ბლოკის საარჩევნო კანდიდატსა და საარჩევნო საარჩევნო კენდიდატს.

მაგრამ, მოლოდინის საპირისპიროდ, ბათუმური ბლოკიდან არავითარი რეალური საარჩევნო ინიციატივა არ მომდინარეობს.

ბლოკმა მხოლოდ 12 თებერვალს დასახეულ საკუთარი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე - ასლან აბაშიძე, თანაც, ასლან აბაშიძე, ჯერჯერობით, მხოლოდ პოტენციური კანდიდატია. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მისი კანდიდატურის წარდგენა სერიოზული პირობების შესრულებას ითვალისწინებს ხელისუფლების მხრიდან, მათ შორის, პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევას საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კანდიდატურის წარდგენის ვადა კი 19 თებერვალს იწურება.

ოპოზიცია ხელისუფლებას ულტიმატუმს ენით ულპარაკება, ხოლო პირობების დაუწყაყოფილებლობის კვალდაკვალ - ტაქტიკის შეცვლით და არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებით ემუქრება.

ესე იგი, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატი არსებობს; მაგრამ საჭიროების მიხედვით, პარალელურად, ბოიკოტის თემაც ტრიალებს.

ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ სე-

საპარლამენტო  
არჩევნების  
შედეგები

რიოზული საარჩევნო კამპანიისთვის შაბდების არანაირ ნიშანვალს ბათუმური ბლოკი არ ამყლებენს. არ შეიძლება, რომელიმე პოლიტიკური ძალა არჩევნებში ერთდროულად თან შევარდნაძის დახმარებებს აპირებდეს და თან ბოიკოტის განსახორციელებლად ემზადებოდეს - ორივე მიმართულებას ძალების მაქსიმალური კონცენტრაცია სჭირდება. უბრალოდ, არანაირად ვერცხვდება, საარჩევნო სტრატეგია ერთდროულად მოიცავდეს არჩევნების მოგებას და არჩევნების ჩაშლას.

\*\*\*

ამ პირობებში, საკითხავია, რომელი მიმართულება უფრო პერსპექტიულია - გამარჯვებისთვის ბრძოლა თუ არჩევნების ჩაშლის მცდელობა?

თავიდანვე ცხადი იყო, რომ თუ ოპოზიცია თავის კანდიდატად ახლანაბაშვილს დაასახელებდა, თან გარკვეული პირობები და ულტიმატუმი უნდა მოეყოლებინა: ახლან აბაშიძე თბილისში ვერ ჩამოდის, ამას კი, პრეზიდენტის კანდიდატის როლში ყოფნისას, საგანგებო დასახულება სჭირდება. ასე რაში, ახლან აბაშიძის სრულფასოვანი კანდიდატობა თვითდანვე გამორიცხულია.

რაც შეეხება ბოიკოტს და არჩევნების ჩაშლის მცდელობას - ამ ტექტიკას ოპოზიციისთვის აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, კარგავს ლეგიტიმურობას. კონსტიტუციის თანახმად, ამ შემთხვევაში ხელახალი არჩევნები ორი თვის ვადაში ინიშნება.

მაგრამ რამდენად რეალურია ბოიკოტის გზით არჩევნების ჩაშლა? პასუხი ერთმომენტურად არის - სრულიად არარეალურია. არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდება იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები. საერთო რაოდენობას კი ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს, ფაქტობრივად, გაურკვეველი და უპრობლელო მონაცემების საფუძველზე. ამიტომ, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ყოველ არჩევნებზე იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ანკუზის ხელისუფლებას კონკრეტულ შემთხვევაში. ბოლო სამ არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 2 828 091-დან 3 143 851-მდე შემცირდა. ამიტომ, ოპოზიცია ვერ მიადღეს არჩევნების ჩაშლას ბოიკოტის გზით, თუნდაც, ამომრჩეველთა ნახევარი მართლაც არ გამოცხადდეს არჩევნებზე. უფრო უსუსტად, ოპოზიცია ვერაფრით დაამტკიცებს, რომ არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, რადგან იგი ვერ აკონტროლებს სწორედ მთავარ მონაცემს - ამომრჩეველთა საერ-

თო რაოდენობას. ამ რეალობის გათვალისწინებით, ბუნებრივად გამოიყოფება, რომ ოპოზიციის ულტიმატუმის ერთი პუნქტი მოსახლეობის აღრიცხვა-პასპორტიზაციის მოვარებას მოითხოვს. მაგრამ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სწორედ ამ მოთხოვნის შესრუ-

**აშკარაა, პრეზიდენტი საფრთხეს საქართველოდან კი არა, რუსეთიდან ელის. აშკარაა, ამ საფრთხის წინაშე ერთ ნაპირზე აღმოჩნდნენ შევარდნაძე და არჩინა. ესე იგი, მეორე ნაპირზე დარჩნენ რუსეთი და რომელიღაც პოლიტიკური ძალა საქართველოში.**

ლებას ხელისუფლება არ იჩქარებს არჩევნებამდე დარჩენილ ორ თვეში.

\*\*\*

ასე რომ, საარჩევნო კანონის დაწესება და ბოიკოტი ოპოზიციის შორიდან პრიორიტეტის მხოლოდ პასიურ ფორმად რჩება.

არადა, რუსეთის ინტერესი საქართველოში პრიორიტეტის მხოლოდ პასიური ფორმით ვერ დაკმაყოფილებს. პირად საუბრებში ბლოკ "საქართველის აღორძინების" ორმა ლიდერმა ცალცალკე დაედასტურა, რომ 2 000 წლის საქართველოში არჩევნების მოგების რეალური პერსპექტივა მათ არ გააჩნიათ და ამიტომ, ფაქტობრივად, წვედები ბრძოლას და შექმდეი არჩევნებისთვის მზადებაზე გადადიან.

პარტიას მართლაც აქვს უფლება, მთავარი ბრძოლა რამდენიმე წლით გადადოს. მაგრამ რუსეთის ინტერესები რამდენიმე წელიწადს ვერ მოიცავს. ესე იგი, ან ბლოკი "საქართველის აღორძინება" არ არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი 2000 წლის სამრეზიდენტო არჩევნებში, ან რუსეთის სტრატეგია იმგავრია, რომ იგი ბათუმური ბლოკის მხრიდან არც კონკურენტებს შორის რეალურ საარჩევნო ბრძოლას ითვალისწინებს და არც ბოიკოტს - სამაგიეროდ, ითვალისწინებს ამ ეტაპზე ოპოზიციის გამოყენებას დროის გაყვანის მიზნით და ნამდვილი სტრატეგიის შესანიშნავად.

ის ეჭვი, რომ ოპოზიცია დროის გაჭიანურებას ცდილობს, ჯერ კიდევ მანამ ვარდება, როდესაც პარლამენტში საარჩევნო კანონის შეცვლის მიზნით მუშაობა დაიწყო ინტერფრაქციულმა ჯგუფმა. ჯგუფი ყოველდღიურად იკრიბება, მას სულ მეტი და მეტი მოხალისე ემატება, ყველა საკუთარი ვარიანტის განხილვას ითხოვს, რეალური შედეგი კი არ ჩანს. იგი არც იყო მოსალოდნელი, რადგან ოპოზიციისთვის შედეგად ჩაითვლება ამომრჩეველთა

რაოდენობის დაზუსტება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმგავრად დაკომპლექტება, რომ იგი მთლიანად ოპოზიციამ აკონტროლოს. ხელისუფლება ამას, ცხადია, არ დაუშვებს. სამაგიეროდ, ინტერფრაქციულ ჯგუფში ცხარე კამათი გრძელდება, ამასობაში დრო გადის და იქნება ილუზია, რომ ბლოკი "საქართველის აღორძინება" თავის საარჩევნო სტრატეგიას ახორციელებს.

12 თებერვლიდან ინტერფრაქციულ ჯგუფის საქმიანობის ნაყოფიერებას ასევე აბაშიძის შესახლო კანდიდატობა დაუეკავშირდა. ეს ნიშნავს, რომ მომავალში კამათი კიდევ მეტი ენთუზიაზმით გაიმუშავება ოპოზიციისთვის მოსაწონ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

\*\*\*

სწორედ ამ ვითარებაში, როდესაც ბათუმის ბლოკის მხრიდან ნამდვილად არ ჩანს რეალური სტრატეგია, არჩინა ითხოვს ვაჟა ლორთქიფანიძისთან შეხვედრას. შეხვედრანზე არჩინა აცხადებს, რომ არჩევნებში მხარს უჭერს შევარდნაძეს და იქვე სახელმწიფო მინისტრს გადასცემს კონკრეტულ მონაცემებს გალში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ; სხვა მონაცემებთან ერთად, გადასცემს კონკრეტულ სახელებს და გავრცებს.

მანამდე ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც მართლაც არა ჰყავს რეალური კონკურენტი და, ფაქტობრივად, არჩევნების მოგება გარანტირებული აქვს, ბოლო წლების განმავლობაში პირველად, მაქსიმალურ დათმობაზე მიდის რუსეთთან - იქნება ეს პუტინის მხინდაცქერა, ევროსაბჭოში კენჭისყრისას მხარდაჭერა, რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობების რატიფიკაცია მისი ხელმოწერადაც 6 წლის შემდეგ (რაც, სავარაუდოდ, 1,5 მილიონი ლარის ოდენობის ფულად კომპენსაციას ითვალისწინებს ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან) თუ სხვა.

აშკარაა, პრეზიდენტი საფრთხეს საქართველოდან კი არა, რუსეთიდან ელის. აშკარაა, ამ საფრთხის წინაშე ერთ ნაპირზე აღმოჩნდნენ შევარდნაძე და არჩინა. ესე იგი, მეორე ნაპირზე დარჩნენ რუსეთი და რომელიღაც პოლიტიკური ძალა საქართველოში.

11 თებერვალს, საპარლამენტო კომისიის სხდომაზე, სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი რუსეთში დაგვიგება და მისი მიზანია საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედება.

ესე იგი, აფხაზეთის კონფლიქტის არსი საქართველოდან მისი ჩაუხშობისაა. ვი არის, არამედ - აფხაზეთის მესვეობით თელი საქართველოს შე-

სურსა სუბელიანი

ნარუნება რუსეთის გავლენის სივრცეში. თუკი რუსეთი შეძლებს, რომ მისთვის სასურველი პრეზიდენტის ტერმინით საქართველოს მთელი ტერიტორია გააკონტროლოს (აფხაზეთის ჩათვლით), იგი დროებით უპრობლემოდ დაუთმობს, მაგალითად, გალს მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალებს და ლიდერს, რათა სწორედ ამ ლიდერის სახელს, რეიტინგს და გაარეზიდენტებას დაუყვამირდეს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ილუზია.

ეს შეიძლება ორგვარი ტექნოლოგიით განხორციელდეს.

პირველი ტექნოლოგია პარტიზანული ომის იმიტაციაა. ამ მიმართულებით გარკვეული ნიშნები უკვე გამოჩნდა. პრესაში გამოქვეყნდა სტატიები, რომ კვლავ გააქტიურებული ელიტას რაზმი იარაღით აფხაზეთიდან მარადგება; რომ ელიტას ვაჭმარი აქვს აფხაზეთში მოქმედ პარტიზანებთან; რომ ძალოვანი უწყებები დესტაბილიზაციას ელიან და ასე შემდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრთან ინტერვიუში კახა თარგამაძის მხრიდან გაიჟღერა ფრაზა "საქელმწიფო გადატრიალების ვეგლეობა."

არსებობს სხვაგვარი ტექნოლოგია: გალის დამთობა არა პარტიზანული ომის იმიტაციის შედეგად, არამედ - მშვიდობიანი მოლაპარაკებით. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამტს დიდი ხნის წინ აქვს მიღებული გადაწყვეტილება სამშვიდობო ზონის გაფართოების შესახებ. ასე რომ, თუ ვინმეს ამ გადაწყვეტილების შესრულება დასჭირდა, სამშვიდობო ძალები მდინარე ღალიძგას საზღვარზე გადინდნენ, არძინბა კი გალს დაკარგავს.

სწორედ იმის გამო, რომ არძინბას ძალა არ შესწევს, დამოუკიდებლად ჩაშლის რუსეთის გეგმები, იგი იძულებულია, ამ ეტაპზე შევარდნაძესთან ერთად იმოქმედოს.

\*\*\*  
მაგრამ აფხაზეთის მეშვეობით რომელიმე პოლიტიკური ლიდერის გაძლიერება იმედვად, რომ მისი ძალოვანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაფრცხლდეს, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი როგორმაც მოხერხდა შევარდნაძის დატოვების მოხსნა. რადგან თუ შევარდნაძე არჩევნებამდე მშვიდობით მივიდა, იგი დესტაბილიზაციის ნებისმიერ მდგომარებას საკუთარი ხელისუფლების გაძლიერებისთვის გამოიყენებს, რაც ერთხელ უკვე მოხდა 1995 წლის არჩევნებში.

ამიტომ, -მართალია, დღეს პირდაპირი ანტიშევარდნაძული საარჩევნო სტრატეგია არ მოქმედდება, მაგრამ პოლიტიკის მთლიანი კონტექსტი, მისი შემადგენელი მოულოდნელი დეცალბითოური, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტზე მორიგი ტერაქტის პოლიტიკურ უზრუნველყოფად მოვიზროთ.

არილი

# ტაქტიკური დათმობები სტრატეგიის შესანარჩუნებლად



რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაცილებით დინამიური გახდა. დინამიზმი რუსეთის ახალი ხელისუფლების ახალმა პოლიტიკამ - აგრესიულმა საშინაო და საგარეო კურსმა მოიტანა. რუსეთმა განსაკუთრებით ინტენსივობის სივრცეში გამოაჩინა ბრწყინებები.

უშუალოდ მინისტრის ვახტანგ ჭუათაიელაძის აზრით, რუსეთში ბოლო დროს აშკარად შეიმჩნევა ანტიქართული ისტერიის გამოცალკეება ზოგადკავასიური სისკან, მოსკოვის მოსახლეობაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ კი ცხადყო, რომ მოსკოველების 72 პროცენტი საქართველოს მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეთანხმება.

რუსეთის მოთხოვნით საქართველოს პარლამენტმა რატივიკაცია გაუკეთა ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც, თუ ცალკეული ქართველი ბიზნესმენების კერძო ინტერესებს არ გაითვალისწინებთ, რუსეთისთვისაა მომგებიანი.

ამავე დროს, 10 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ მხარეს გადასცა დოკუმენტი, რომელიც ორ ქვეყნას შორის სავიზო რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებს. ცხა-

და, რომ სავიზო რეჟიმის შემოღების თავდაპირველი საბაბი - ჩეჩნეთის საზღვრის გაკონტროლება - სრული აბსურდია და ამ რეჟიმის შემოღების ერთადერთი მიზანი საქართველოზე ზეწოლაა, თუმცა, ბოლომდე გახსენებები მაინც არ არის, საბოლოოდ რას ელოდება რუსეთი ამ აქტივიდან, რადგან სავიზო რეჟიმის შემოღება ეწინააღმდეგება რუსეთის მთავარ პირობრიტეტს - მაქსიმალური ინტეგრაციის დღისთვის ფარგლებში.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი სავიზო რეჟიმის შემოღებას მისჯალმა, რადგან უფრო მკვეთრად დაეჯისირდება საქართველოს საზღვარი აფხაზეთ-საშრეთ სოფთის მონაკვეთზე და რუსეთის გავლენის სფეროდან დეზინტეგრაციისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგება.

უკონომიკურად საქართველოსთვის სავიზო რეჟიმი წამგებიანია. საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ცნობით, რუსეთში 600 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს და მალე დაიწება მათი ზუსტი აღრიცხვა. რუსული მხარე ეწააღება, შემოიღოს "შრომითი მონაცემის მიგრაციული ქვოტა", რომლის ამოქმედების შემდეგ საქართველოს მრავალ მოქალაქეს მოუწევს რუსეთის დატოვება, რადგან მათ არ ეწეებათ რუსეთში მუშაობის უფლება. 600 ათასი გადაჭარბებუ-

ლი ციფრია, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთში საქართველოს უამრავი მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს. საივრო რეჟიმის შემოდგომის შემთხვევაში მრავალი ოჯახი და თავად საქართველოც სერიოზულ შემოხაველს დაკარგავს, რუსეთში მყოფ ქართველები კი სერიოზული პრობლემები შეექმნებათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ავთანდილ ნაფეტვარიძის თქმით, ბიშკეკის ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმი მოქმედებს. "საქართველო არ ამირებს ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლას, ხოლო რუსეთმა თავად გადაწყვიტოს, რას ამირებს", - განაცხადა ნაფეტვარიძემ. მოსკოვის მიმართ საქართველოს ხელიწყოფების ლიბერალი და მოკიდებულება ქართველი პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტად იქცა. ტიპიური იყო სახალხოელი გიორგი კობახიძის შეფასება. მისი თქმით, საქართველოს არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საგარეო პოლიტიკა, ხელისუფლება მხოლოდ ტაქტიკურ სვლებს აკეთებს და ერთადერთი - ხელისუფლებაში ადგილების შენარჩუნების ინტერესს - ემორჩილება.

მეორე მხრივ, რუსეთის მიმართ ლიბერალიზმი ნიშნის დაკავება არჩილს თანამეგობრობის სხვა ქვეყნებშია. უზბეკეთში, რომელმაც შარშან ნატოს 50 წლის იუბილეზე დემონსტრაციული აქტივობები დასრულა, რუსეთის საგარეო უწყებები და "სუჰამი" შეურთდა, წელს პრეზიდენტ ქარიმოვის პირით გამოცხადდა, რომ რუსეთი რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების გარანტია.

თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმაც ხაზგასმით აღინშა, უზბეკეთი არ შეეძინა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონაში (კავკასიისგან განსხვავებით - ს.ს.) და მის სრულფასოვან პარტნიორად მიიჩნევს. რამდენადაც ცენტრალურ აზიაში უზბეკეთი აშშ-ის და თურქეთის მთავარი პარტნიორია, რუსეთთან მისი დაახლოება რეგიონში რუსეთის გავლენის აღდგენისკენ გადადგმულ სერიოზულ მედელიობად განიხილება.

რუსეთმა შეძლო უკრაინაზე გაწესებული ციფრების გარკვეული ზემოქმედებით სერიოზულად არის დამოკიდებული უკრაინის სატრანზიტო

გზებზე. დასავლეთში ესპორტირებული რუსული გაზის 95% და ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ უკრაინის გავლით გადის. მარტო გასულ წელს უკრაინის გავლით "გაზპრომმა" 127 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გაატარა, მაშინ, როცა ტრანსკასპიურმა გაზსადენმა წელნადმი მხოლოდ 6 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გადატვიროს. მიუხედავად ამისა, უკრაინა იმდენადაა დამოკიდებული

**"რუსეთს უკვე აღარაფერი აქვს დასაკრავი. საქართველოში მისი სამხედრო ყოფნა-არყოფნის პერსპექტივაც კი ვერ შეაჩერებს მოსკოვს, გაატაროს მკაცრი ზომები. საქართველოსა და აზერბაიჯანს მოუწევთ რუსეთის მრავალი საგარეო პოლიტიკური "პროექტის" გაცნობა და იმის გათავისება, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან მათ აშორებთ არა ატლანტიკის ოკეანე, არამედ მხოლოდ კავკასიონის ქედი", - წერდა 20 ოქტომბრის "ნეზავისიმია გაზეტა".**

ბული რუსეთის ენერგორესურსებზე, რომ იძულებულია გარკვეულ დამოკიდებულებაზე წავიდეს ტარიფებთან დაკავშირებით და, შეიძლება, ნავთობს და გაზსადენების იჯარის საკითხებსაც გადაწყვიტოს.

რაც შეეხება საქართველოს, რჩება მთავარკვლევა, რომ იგი რუსეთს მხოლოდ ტაქტიკურ საკითხებში უფროსი. მაგალითად, სტრასბურგში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის გამოსვლის კომენტარების პრეზიდენტმა შვეარდნაძემ განაცხადა, რომ რუსეთმა აქტიური როლი უნდა ითამაშოს კავკასიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაში, ოღონდ იქვე მან არც "მსოფლიო თანამეგობრობა" დაიწინა, არც მეორე "დედი გეზობელი" - თურქეთი და დასძინა, რომ არ უკანასკნელია უშუალო მონაწილეობითაც უნდა შეიქმნას კავკასიური უსაფრთხოების სისტემა.

თურქეთის სხენება ამ კონტექსტში რუსეთისთვის სასამოწონო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ სწორედ იმ დეცემბრში თურქეთის მინისტრმა ყოფილი საქმეთა კავშირის თურქულენოვან ქვეყნებთან ურთიერთობის საქმეში, ახალგაზრდა ჩემი თურქ ხალხთა თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ ისაუბრა. მინისტრმა თურქეთის უახლესი დროის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად კავკასია და ცენტრალური აზია გამოაცხადა, სამომავლოდ კი იმედი გამოთქვა, რომ თანამეგობრობის უკრაინა და ირანიც შეურთდებოდნენ. "რუსეთი ძალიან

სუსტია სამისოდ, რომ ჩვენ გაგვინიოს ნინააღმდეგობა", - ბრძანა მინისტრმა.

იმის დეფიციტობა, რომ კავკასიაში მშვიდობის დამყარება არა მხოლოდ რუსეთის ამ მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის საქმეა, არამედ თურქეთისაც, სწორედ საქართველოს სტრატეგიული კურსის უცვლელობაზე მიუთითებს. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია იმ მიწვევების სორექტება, რასაც ქართულმა პოლიტიკამ ჯერჯერობით მხოლოდ შეთანხმების დონეზე მიიღწია და რომელთა განხორციელებასაც რუსეთის აქტიურობა საფრთხეს უქმნის.

ტრანსკავკასიური ნავთობსადენის მშენებლობის კონკრეტული სტეპა ჯერ შეთანხმებული არ არის, რუსეთი კი ამასობაში დაქვემდებარებული ტემპით აშენებს ნავთობსადენს ჩრქნთვის შემოვლით და ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებას.

ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობის კონკრეტული გეგმა ჯერ შეთანხმებული არ არის, რუსეთი კი ცდილობს, დასაწრიოს და შავი ზღვის ფსკერზე აღტრიალდებული გაზსადენის - "ცისფერი ნავი" - მშენებლობა დაიქმნოს.

საქართველო კვლავ კატეგორიულად მოითხოვს სტამბულის სამიტზე მიღწეული კიდევ ერთი სტრატეგიული შეთანხმების შესრულებას - ვაზოანიდან და გუდაუთიდან სამხედრო ბანების დათქმულ ვადაში გაყვანას, რუსული მხარე კი აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ არ იცის ხელშეკრულების წავიკება და იგი, სინამდვილეში, მსგავსი არაფერი წერია.

სტამბულის სამიტის შემდეგ რუსეთი საქართველოს მიმართ დია მოქმედებაზე გადადგმა: "რუსეთს უკვე აღარაფერი აქვს დასაკრავი. საქართველოში მისი სამხედრო ყოფნა-არყოფნის პერსპექტივაც კი ვერ შეაჩერებს მოსკოვს, გაატაროს მკაცრი ზომები. საქართველოსა და აზერბაიჯანს მოუწევთ რუსეთის მრავალი საგარეო პოლიტიკური "პროექტის" გაცნობა და იმის გათავისება, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან მათ აშორებთ არა ატლანტიკის ოკეანე, არამედ მხოლოდ კავკასიონის ქედი", - წერდა 20 ოქტომბრის "ნეზავისიმია გაზეტა".

ამ ეტაპზე საქართველოს სტრატეგიული ამოცანა შეთანხმებული პროექტების სორექტებაა. სწორედ ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დათმობები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლება მიდის, მხოლოდ ტაქტიკური ხასიათისაა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ხაზის შენარჩუნების ისახავს მიზნად.

ნიმუ ზარიანვილი

რუსეთსა და აქართველს შორის ეკონომიკური საზღვრები ნაიშალა

პარლამენტის II თებერვლის გადაწყვეტილებით, ამერიიდან, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები ქართული ბიზნესისათვის უფრო მაცდუნებელი გახდება, ვიდრე - "დანარჩენ" ცივილიზებულ სამყაროსთან. ბოლო სესიაზე, დეპუტატებმა ამ მოწვევის პარლამენტში პირველად გამოიჩინეს ერთსულოვნება და 150 ხმით 9-ის წინააღმდეგ რატიფიცირება ჩატარეს ხელშეკრულებას "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე". ეს საერთაშორისო შეთანხმება უშაღვე დაკარავს რიგითი დოკუმენტის იერს, როგორც კი გაეცხვენება, რომ იგი მიღებულია 1994 წლის 4 თებერვალს, ანუ იმ დღეს, როდესაც თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ბორის ელცინი დიდი ამალის თანხლებით. ეს ხელშეკრულებაც სწორედ იმ დღეებში შექმნილ დოკუმენტთა პაკეტის ნაწილია, რომელმაც საქართველოში რუსული სამხედრო ბაზები დატანა და რომელიც მინცდამაინც ვერ ერგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

ამ კონტრის "წყაიყო" იყო ერთი თვის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს თანამგებობის სიერცემი გაერთიანება.

ეს ხდებოდა 6 წლის წინ, როცა შევარდნაზე ჯერ კიდევ არწუნებდა რუსეთს, რომ საქართველოსთვის "იგი ჩრდილოეთიდან ამოდიოდა", როცა მერუსეთის დიდგაციასთან გამოსამშვიდობებელ სალაშქო "შეხვეტი პალაშო" ისევ სვამდა იმ საქართველოს სადღერძელს, რომელსაც რუსეთის გარეუც მომავალი არ უწერია, ერთი თვის შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში დახმარებას ითხოვდა ჩრდილოელი მეზობლის გაუენისაგან თავის დასაღწეად.

6 წლის შემდეგ, სრულიად ახალ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ ცივილიზებულ სამყაროს ისევ სჭირდება საქართველო, როგორც საქართველოს - ცივილიზებული სამყარო, დეპუტატთა ახალ კოლეჯში პრორუსული დოკუმენტის მიმართ კვლავ საოცარი ერთსულოვნება ფიქრებდა.

ერთსულოვნების მიზეზები ისეთივე ქრულია, როგორც თავად პარლამენტი. შეთანხმების მიხედვით, ვაჭრობის ლიბერალიზაცია გაულისხმობს იმ იმპორტის საბაჟო გადასახადთან გათავისუფლებას, რომელიც საქართველოდან რუსეთში, ან შირქით, რუსეთიდან საქართველოში მიერ.

საბაჟო გადასახადი სხვადასხვა საქონელზე განსხვავებული სიდიდისაა. 0%-ით იბერება (ანუ არ იბერება) სოციალური დაინშნულების პროდუქცია, რომელიც საქართველოში არ იწარმოება; 5%-ით - ნედლეული; ხოლო შხა პროდუქციის ძირითადი სახეობების ვრცელ უზსხა - 12%-ით.

12%-იანი გადასახადისთან ტვირთების გათავისუფლება ნიშნავს, რომ რუსეთიდან



სეთიდან შემოტანილი საქონელი 12%-ით უფრო იფი იქნება, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდან შემოტანილი. ამდენად, სხვა ქვეყნიდან ტვირთების შემოტანა არახელსაყრელი ჩანს. ეკონომიკური კავშირები დანარჩენ სამყაროსთან შედარებით წამტებიათ ხდება, ინტეგრაციულ პროცესებში სასწორი რუსეთიც კი გადინაძველებს. არა იმიტომ, რომ რუსეთთან უპირატესი ეკონომიკური ინტეგრაცია ბუნებრივი პროცესია, არამედ - ხელმძღვრე ჩარევითაა განმარტებული.

რუსეთთან მომავალი ტვირთების უპირატესი მდგომარეობაში ჩაყენება გამორჩეულ ცივილიზებული სამყაროდან საქართველოს ბაზრის ჩამოშორებას. საქართველოს ბაზრის ასეთი მიზამ ჩრდილოელ რეზონილთან უდავოდ გააძლიერებს რუსეთის გავლენას ჩვენს ქვეყანაზე. ნეთობარდოქტებზე საერთაშორისო ფასის აწვესთან დაკავშირებით, რუსეთის ეკონომიკა დღეს შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ნებისმიერი კრიზისი, რომელიც იქ თავს იჩინებს, თუნდაც, ნეთობზე ფასის დანჯის შემოხვევაში, წალკეით დაემუქრება ქართული ეკონომიკის მსხვერპლად სტაბილუაციის თვალსაწირობისთვის ვიჭყვით რომ საქართველოს წლიი რუსეთის საქართველო ბრუნებაში 0,8 პროცენტია, ხოლო რუსეთის წლიი საქართველოს სავაჭრო ბრუნებაში - 20 პროცენტი. შესაბამისად, რუსეთის გავლენა საქართველოზე 25-ჯერ მეტია.

რუსული ეკონომიკის გაუენის გამძღერება გარკვეული უკანდახევაა, რომელიც, პირველ რიგში, პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ. ამ შეთანხმების წინაშევე შეკრდნაბე-პუტინის შეხვედრის შემდეგ, განდა ატტაულორი. მან ადვილად მოიპოვა ფრაქცია "შოქალაქეთა ვაჭრობის" იმ გუენის მხარდაჭერაც, რომელიც უშულოდ ექნის პოლიტიკას საქართველოს პარლამენტში.

საქმე ის არის, რომ ეს შეთანხმება

ფუნქციონირება 1999 წლის ნოემბრამდე ყოველგვარი რატიფიკაციის გარეშე (ესე იგი, ნოემბრამდე იმპორტიორები საბაჟო გადასახადს არ იხდიდნენ). მთავრობამ ხელშეკრულება კანონრდვეითი აამოქმედა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტების გაცეის შემდეგ შეთანხმება პარლამენტს არ გადასცა რატიფიცირებისთვის, რთოაც დაარღვრა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა. ამ გადაწყვეტილებით დაზარალებულმა ერთეულებმა მენწარმე უზუნეს სასამართლოში იჩილა და პროცესი მოიგო კიდევ: შეთანხმება, რომელიც პარლამენტის რატიფიკაციის გარეშე მოქმედებდა, ძალადაკარგულად გამოცხადდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რუსეთიდან საქართველოში მომავალი ტვირთთან ინტეგრაცია ნოემბრის შემდეგ, ხოლო საქართველოდან რუსეთში მიმავალი - არა. პუტინმა მათთან გასაცნობად ჩასულ შევერდნამეს პირველიც შეხვედრებუ სთხოვა ამ პრობლემის გადაწყვეტა. ან საქართველოს უნდა მოეხსნა საბაჟო გადასახადი რუსეთიდან შემოსილ ტვირთებზე, ანდა რუსეთიც დაბერავდა იმპორტზე საქართველოდან.

ზამთრის არდადეგების დამთავრებისთანავე დოკუმენტის რატიფიკაცია პარლამენტმა პირველივე კვირაში განიხილა. შემოსახლების კომიტეტის თამაქედომარის ზურაბ ნოღაღბლის აქტიური მხარდაჭერა დოკუმენტის რატიფიცირების პოლიტიკურ ნებას გამოსატყავდა. საარზნდენტო არწველების წინ ედუარდ შევერდნამეს კვლავ მუშავდა რუსეთისთვის ერთგვარი რევერსნის გაკეთება.

რუსეთთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის მომართვა შორის არის მოქალაქეთა კავშირის ბიზნესთან მოსულ "ახალი სახეების" ერთი ნაწილი. ეს ის ხალხია, რომლებიც, ძირითადად, საქსე-პორტო დარგებში მუშაობს. ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან გაჩეილაძე,

### საზა უაჩეაველი

რომელიც ლენის ბიზნესის წარმომადგენელია, სახს უსვამს, რომ რუსეთის 150 მილიონიათ ბაზარი ვეობა საქართველოს 5 მილიონიათ ბაზარს. შეთანხმების რატიფიკაცია ექსპორტიორებს საქმეს გაუადვილებს, მაგრამ დიკლებს საბაჟო შემოსავლები ამასთან, ნოემბრის შემდეგ აეროვილი გადასახადები უნა უნდა დაბრუნდეს. თანხა ჯერ დაუზუსტებელია, მაგრამ სავარაუდოდ 1,5 მილიონი ლარია. ამის გარდა, სტრატეგიულ გზებზე, გაოსტრატეგიულ საკითხებში რუსეთი საქართველოს კონკურენტია და მისი ბაზრის ანაზრად დარჩენა სახიფათოა.

დოკუმენტის რატიფიკაციას, რა თქმა უნდა, ყოველგვარი დებატების გარეშე ხმა მისცა პრორუსულად განწყობილმა უცერესობამაც, რომელთა წარმომადგენლებმა განაცხაბა, ხელშეკრულების რატიფიკაცია უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო.

ხელშეკრულების დენონსაციისთვის იბრძოდა "შრენველები" ერთი ნაწილი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე მუშაობს ან დსო-ს ქვეყნიდან არ შემოიქვს იმპორტული საქონელი. ხელფორწად გათავებული რუსული ნაწარმი მათ პრობლებებს შეუქმნის საკუთარი პროდუქციის გასაღებაში.

ვაჭრობის ლიბერალიზებით, როგორც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი აცხადებს, საზინის მდგომარეობასაც გააუარესებს: "რუსეთიდან იმპორტის საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლება გამოირვევს საბიუჯეტო შემოსავლების საგრძობს კლებას; სხვა განვიტარებულ სახელმწიფოების მაილანსისთანა საქონლის ჩანაცვლებას დაბალბარის-სიანი იაფი რუსული საქონლით და საერთაშეღოს იძულებით მიბმას რუსეთის ბაზარზე".

საქართველოსთვის, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მსოფლიო ქვეყნისთვის აკრძალულია რომელიმე სახელმწიფოს სასარგებლოდ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი დაწესება, ანუ საქართველომ რომელიმე ქვეყანასთან არ უნდა გამოიყენოს განსაკუთრებული სავადა-სახადო რეჟიმი. თუმცა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ეთანხმება რეკონსულ ურთიერთობებსაც. მაგრამ რუსეთისა და რამდენიმე ყოფილ საქართველო რესპუბლიკებს შორის შექმნილი საბაჟო კავშირი, ის ეკონომიკური სივრცეა, საიდანაც თავის დაღწევა საქართველოს დადრედ შერი უფვდება. რუსეთთან ვაჭრობის ლიბერალიზაცია საბაჟო კავშირში გაერთიანების ტოლფასია. ეკონომიკური ინტერესების ასეთ მსგავსებულშირავსა შეიძლება ერთადერთი ახსნა მოქებნოს, ეს არის ტექსტიური ნაბჯე, გამპრობლებული რაღაც დიდი პოლიტიკური საფრთხითი.

ადილი

### აზნანაზი დურუ

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში უმსოინერგეთან შეხვედრის დროს, როცა ერთი ყავარ-უნიანი, ძვლპალტოიანი, "შემაკიანი", სქელმუხსათვალისანი, გუპურისაგი, სუსტი, გაღარა კაცი პრეზიდენტის მაგიდის კვერცხლებიკიანდ არ ჩამოდიოდა და მინისტრს, ავთანდილ ჯორჯენიძეს წერილი მედგარი ხმითა და მოკანკალე მუშტის ცხვირნი ჩქვეით რაღაცას ეს-იფვარულებოდა, დაძმწერ საზოგადოებაში პირველად გაიგო აზნანაგი დურუს სახელი. ეს ასე მოხდა.

მისუ სუსარულობიდან დაწყებული სიტყვა მოხუცმა ნულოვან ბარბერს რომ გადააფრინა და პუღს უსასრულობაში სტყორცნა, მასთან "დევებით" კაცები მივიდნენ და პარტურში გადასვლა უბრძანეს. ბრძანება ცოტა ხანში მუჭარაში გადაიზარდა, შემდეგ - ხელის ნატანებში, მაგრამ ყავარჯინას ეს არა ვერავინ უყო. ეს კი ერთი შეხებაზე გადასულმა ზურგში უზღლ გახსნა მყოფე ფორნტი და თავგასულნი რომ დაიფორინა, ისე მინისტრისკენ შებრუნდა.

- ჩამოდი, კაცო, ძირს, დაილაღე ეც კაცი, - იხბობარს არ იტყვიდნენ უკუქველები, მაგრამ ამაღ.

ბოლოს, როცა მინისტრის გამო-მეტყველებამ ჯანმრთელობისთვის სახიფათო იერი მიიღო, "ბაყ-ბაყ დევება" მთავარი კოზირი გამოიყენეს და მიხუცს თავიანიტი საქციელის გამაძირა-ლებული ხმითა და ფესტიო მიმართეს, ჩამოდი, ბატონო ძირს, დურუმ უნდა ილაპარაკოს, დურუმი.

ადრესატი იმდენად იყო ექსტრაზმი შესული, რომ ამ სახელმა მის ყურამდე მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მი-აღწია, თუმცა მყესულად იმომქდა და "შემაკიანი" კონონადა შეწყდა.

ამ დროის შესამე რიგში ნამოდაკოზის ვეტერანმა კავშირის აქტივისტი და სიამავე, აზნანაგი დურუ, რომელიც 85 - ოდელ წლის იქნებოდა. ხელის ტული მხოლოდ რამდენიმე კავსა გააჯუ-ლაშუნა, მაგრამ დარბაზში მიანც გაი-სნა " ბურიე პროდოლეტიკონიე ალ-ოდისმენტი".

შავი შლაბით დახურული მრისხანე-ბის შავი შარბები და შავი ფერის ენ-ერი ახლო-ახლო თვალის კაკლები მარ-უტეობხედი ტანით ტრიბუნაზე აიზიდნეს.

ერთი - ორი ანევი მოხუცი რომ არ ყოფილიყო, შეიძლებოდა გეტყვია, რომ დაფინაზი გაირინდა, მაგრამ... დურუმ ტრიბუნადად მიმოხედა და შურა მარ-ჯვენა ღელავზე გაყინა, საიდანაც ლა-პარაკი ისმოდა. სროლამაც არ დააყოფ-ნა:

- თქვენ თუ ჯარისკაცები ხართ, დაჯექით და მოისმინეთ; რას შკავს ეს,

# ძველი ბვარდია ბაინც პარ ნებღება!

შეხვედრა პენსიონერებთან



ანარქია ანდაფილი, - ეს იმ დურუს ყვირილი იყო, რომელმაც უდაცლიოდ გადაქციული დარბაზში სცენაზე ასავ-ლულ კიბეზე ვაგაცურად ჩამოეჯდარ უწრლისიტს მიამახა, არ გრცხვინა, მინისტრის წინ როგორი ზიხარ, ადე ფესზე შე... "ვინცაო".

როგორც გამოინდა, მრისხანე ტრი-ბუნლაშე აშვერდა მიზანში ის ადამი-ანიე ამიოლი, რომელთაც ჯერ კიდევ დურუს დროს ეკიდათ ვეზეზე და რუ-ფის კასტა და ახლაც არაადრად ჩაუ-გდაიათ შენიშვნა, მაგრამ უმრავლესობის მოთხოვნა თავისი ქნა და ორატორს ასაპარეუო მიეცა.

- ბატონო მინისტრო! მოვასხენებთ, რომ ... - და დურუმ მიწასთან გაასო-რა სოცურზრუნველყოფის ყოცილი სა-მინისტრო და მინისტრო, რომლის ყვე-ლმაც დიდი დანაშაული, თურმე, ეს ყოფილა, რომ არავერთი მიმართვის მი-უხედვად, მას არ დაუდგინა, ვის რამდენი პენსია ეყოფინდა.

- შესისას რომ ამ მამლედე, ეს ერ-თია, მაგრამ რამომ ამ მეუბნებანთ მე, რამდენი მეკუთვნის! ხომ უნდა ვიციოდ, რამდენს არ მამლედე?! - გასაზნებდა დურუ და მწელი იქნებოდა მასთან შე-დაცება, ერთი და იგივე ხუთ-ხუთჯერ რომ ამ გაემყოფებინა.

- დაამთავრე ბატონო, დაამთავრე!





ამაზე აქ უკვე იყო ლაპარაკი- ვეღარ მოითინა ვიღაცამ ( არა ანცია).

- თქვენ თუ ჯარისკაცები ხართ... იყვინა დურუმ და ეს კაცები სვრის იმხანად საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ რომ ნა- მოფრინდნენ ჯარისკაცები და, რომ მიაყარეს დურუმ "უკ- ადრისები": ჩამოდი, ადამიანი, ძირს! რამდენჯერ უნდა თქვა ერთი და იგივე? გავიგეთ, ბატონო, გავიგეთ, ეს ვინ ყოფი- ლა, ქალო... და ა. შ.; დურუმ ქალების კალიბრზე "გადი- ავირდა" და ნახად იკვეთა, ეს არის უდიდესილინობა! ამ დროს მინისტრს სცილილ წასკდა და ჟურნალისტები მიხედნენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. დურუმ კი, როგორც იქნა, საზოგადოებას პატივი დას- ლო და გამოხვლა დაბოთავრა, მაგრამ სციინდინ არ ჩამოსუ- ლო და სამიხლეს მოლომედ ამავრებდა.

### მოსხლისეპი

შეხვედრის დროს მინისტრმა ფრიალ შესარგი ისტორი- ული გადმაცხვტვტობდა მიილ, რასკაც პენსიონერები ტაშით შეხედნენ. საქმე ისაა, რომ ამიერიდან პენსიონერები თავად ჩაებმეიან საკუთარი საბენსიო უზრუნველყოფის საქმეში და, სხვა ხეირს თუ ვერ ნახან, ეს მაინც ეკოდინებთ, სა- ტირიოების შემთხვევაში ეს შეაგინონ ( ეს, ბოლოს და ბო- ლოს, გამჭვირვალე პოლიტიკის მნიშვნელოვანი მონაპოვარი მაინც იქნება).

მაშ ასე, ვატეორიების მიხედვით შედგენილი პენსიონერ- თა მუშა ჯგუფები სისტემატურად თიანამშრომლებზე სამი- ნისტრის ხელმძღვანელობასთან, რისთვისაც მათ საშუამო- იოთებზეც კი გამოეყოფათ. ისინი კვირაში ერთხელ მინისტრ- ის მოადგილეს, ხოლო თვეში ერთხელ თავად მინისტრსაც შეხედებიან და მოხდება საბენსიო სამართლის დამნაშავეთა გამოძიარვაება. ამ პროცესს ისიც ხელს შეუწყობს, რამა- ემდმივად გამოეყვენდება ინფორმაციები საბენსიო გადა- რიცხვების შესახებ და ყველას ეცოდინება, რომელი რაიონში რა დროს და რა რაოდენობის პენსია გადაიხვანა.

ამით სამინისტრო ზედმეტ უსიამოვნებას აიცილებს, მუ- შა-პენსიონერები კი საბენსიო საქმის ქვეტივ გაერთობიან და უფასო ღირებულებასაც შეიძინენ.

### შეხვედრის შედეგ

შეხვედრის შემდეგ პენსიონერები პრესიდიუმს მიანყდნენ. ყველა ცდილობდა, მინისტრისთვის თავისი გასაჭირი ეთქვა. - რაო, დედა... ენახავ, მოვიციოხავ, შეეცადები, რაც შე- მძლებდა, გავაკეთებ- პასუხობდა მინისტრი.

ამასობაში ყოჩაღება მუშა ჯგუფების სიებიც შეადგი- ნეს და ზოგმა თავმჯდომარეც კი აირჩია. ჩვენ უნებაროდ ამოგადგებთ მხარში, პირადობდნენ მინისტრს რჩეულები.

ამხანაგი დარტ ვეტერანთა კავშირის მუშა ჯგუფის თავ- მჯდომარის კანდიდატურას ამ დაეთანხმა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იმ კანდიდატს, თურმე, თავად მინისტრი უჭერდა მხრს, კარგად ვიცნობ და ვენდობო. სტრატეგიული მოსაზ- რებით, დურუმ პოზიციები დროებით დათმო.

"მდაა, სტაროტს წე რადაოსტ!"

### ნებაჰ, რა იყო ეს, ა?!

მხარეებმა მიიღწეს სიტყვები შეთანხმებას ურთიერთთა- ნამშრომლობის შესახებ და მთელი მორალური კმაყოფილე- ბა, მაგრამ მიიღებენ თუ არა პენსიონერები პენსიონება და სხვადასხვა სახის დახმარებებს დროულად, გამოეცნობი დარნა. ყოველ შემთხვევაში, მთავრობამ პენსიონერებს უთხ- რა: გვახსოვებთ და ვიცით თქვენი გაჭირვება, მაგრამ პენ- სიებს ვერ მოგვიბაძებთ, გასული წლების დავალიანებებს ახ- ლო მოპაბაძო ვერ დავებარავთ და, ხანითოხ, მიუეჯტის დაშტკიცებამდე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით..."

ნეტაც, რა იყო ეს, ა? იყო და არა იყო, თუ - არა იყო რა და იყო? ალბათ შემოადგომანე გამოჩნდება, როცა წინილებს დათვლიან.

## გარნიე კრული

# რა სჭირთ ივროპელ მემარჯვენეებს

ტრადიციული მემარჯვენეები მთელ ევროპაში კრიზისს განიცდიან. ინგლისელი ტორები სკუთარი წარმოსახვაში არსებულ მცირე ინგლისში თავითიზო- ლაციუს ქსნარაფიან, რაც თვითმკვლელობისკენ შეეწე- ბულს სვლას შვავს. საფრეგოში სამოქალაქო ომმა მოიცვა მემარჯვენეები. დე გოლის შვილიშვილმა გო- ლის მიმდევრებ მიატოვა და ჟან-მარი ლე პენის ერო- ენულ ტორებს შეუერთდა. თვით ურყევი გერმანიელი ქრისტიანი დემოკრატიტიც კი ლამის შედგურვლის პირ- ას აღმოჩნდა. შოლოდ იორგე პოდდერის მემარჯ- ვენე ექსტრემისტულია თავისუფლების პარტისა მიუ- დის საქმე კარგად ავსტრიაში. ნუთუ ევროპელი მემარ- ჯვენეები დასაღუ- ხადან ექსტრემიზ- მისთვის არიან განსერიული?

მე არც მემარ- ჯვენე გახლავართ და არც მემარჯვენე- ნა, მაგრამ მემარ- ჯვენეთა პრობლე- მები უნდა აღლუ- ევებდს ნებისმიერ მოაზროვნე დემოკ- რატს. ეს პრობლე- მები კი შოლოდ ევროპის დასავლეთი ნაწილით რო- დი შემოიფარგლუ- ხა. ორი წლის წი- ნათ აღფრთოვანე- ბული ვივატი პო- ლნიული და უნე- გარნიე კრული

რელი მემარჯვენეების პროფესიონალიზმით, რამაც მათი ხელისუფლების სათავეში მოხვლა განაპიარბა. მას შემდეგ კი მათ, დასავლეთევროპელი კონსერვატორების მსგავსად, პოლიტიკური თვითაზიხედვით, თითქმის ყველაფერი გადაუტყეს. მოსახლეობის გამოცხიების შე- დგებებით, აჟაჟდა, იორივე კი მიმდინარეობა სხვათა 20%-ს თუ აგრეგებს. მაშინ, როცა ენ. პოსტკომუნის- ტებმა 70%-იან ზღვარს მიიღწეს.

ახალ დემოკრატიულ სივრცეში მემარჯვენეთა პო- პულარობის ასეთი მკვეთრი დაცემა ევროპის ძველი დემოკრატიული ქვეყნების მემარჯვენე პარტიათა შესახებ გარკვეული დასკვნების გავტეების შესაძლებ- ლობას იძლევა. პოლიონელი და უფრელი კონსერვა- ტორები, მათი დასავლელი "კოლეგების" მსგავსად, გაჩხერილი აღმოჩნდნენ სულ უფრო ნაკლებად პოპ- ულარულ ნეოლიბერალიზმსა და სულ უფრო მეტად ან- ტერნული კომუნისტრულ ტრადიციებს შორის.

ორი წლის წინათ უნგრეთში ფიდეშმა, ხოლო კოლონებში ამომჩრეველთა ალიანსმა "სოლიდარ- კობიზმ" ხელისუფლებაში მოხვლა პოსტკომუნისტ

მარნიე კრული - ვარშავის უნივერსიტეტის ისტო- რიის დაკულტების დეკანი, ინტელექტუალური უერ- ნაღის "Res Publica"ს გამომცემელი.

წინამორბედთა მიმართ გამოვლენილი რეაქციის გამო შეძლეს. თავიანთი მმართველობის ხანაში პოსტკომუნისტურ პარტიებს არც რეფორმების ქარიშხალი დაუტრიალებიათ და არც დემოკრატისა დაპირისპირებინა და დიდად სწორად ამ დროისთვის ამ ოპორტუნულები მზად ამოირბინებენ ძველი ხუნდებისგან თავის დასაღწევად. ამასთან, მათი კონტინგენტი 90-იან წლებში მკვეთრად გაახალგაზრდავდა.

90-იანი წლების დასაწყისისთვის დასრულდა რეცესიის პროცესი და რეფორმების შედეგებზე ნელ-ნელა გამოჩნდა. აშკარა გახდა, რომ მიმდინარე ცვლილებებს უკეთესობა მოჰყვებოდა. შესაძლებელია ამან განაპირობა, რომ 1990-იანი წლების შუა პერიოდში ხალხს სირცხვილის გრძნობა გაურუნდა იმის გამო, რომ დემოკრატიული არჩევნების მეორე რაუნდში პოსტკომუნისტების ჰქონდათ გამარჯვების შანსი.

მემარჯვენეები პოსტკომუნისტურ ინტერელუდას კალიცა რეფორმებისთვის ჩაყრილი თვლი იღებენ. ამიტომაც მათი რიტორიკა შეუდარებლად მკვეთრი გახდა. იგი უკვე აღარ იყო ნეოლიბერალური. ის, რაც მათი მხრიდან ისმობდა, იყო ქრისტიანული კონსერვატიზმის ექსტრემალური ფორმა, მიეჩნებოდა დე გოლის, ადენაურის და დედ გასპერის შემდეგ, მემარჯვენეთა ხმაში გაღვივებული კომუნისტური ტრონის წყალბოტი, პოსტკომუნისტები ზღურძის მიძმა აღმოჩნდნენ.

პოლონეთსა და უნგრეთში ხელი-სუფლებში მოსახლეობდა მემარჯვენეებმა ქრისტიანული კონსერვატიზმის კომუნისტარული რიტორიკით ისარგებლეს, მაგრამ მიზნის მიღწევის შემდეგ მალევე შეცვალეს თავდაპირველი პროგრამები და ქვეყანას უღდებოდნენ, როგორც ნეოლიბერალები. შედეგი ეკონომიკური თვალსაზრისით პოზიტიური იყო, ხოლო პოლიტიკურად წარუმატებელი ხალხი მოითხოვდა განმარტებას, სერიოზული ეკონომიკური აღმავლობის პირობებში რითი აიხსნებოდა უმუშევრობის მაღალი დონე? როგორ გაჩნდა ასე უცვრად მოსახლეობის ის ახალი ქვეკლასი, რომლის შტაგისი კომუნისტური პროპაგანდის მიერ ამერიკული ქალაქების ყოფის შესახებ ნაწევრები ფილმებიდანა და იყო ცნობილი?

გარდაამავალი პერიოდის სითულის გამო თავს იჩენს დალილობა. ეს დალილობა გამოძახილს ჩვენს მესხიერებაში პოულობს და ჩვენ გვახსენდება, ხან ენდობებოდა სოლიდარობა - რომ იგი ყველას თანაბარუფლებიან მძებდა გვაღიარებდა, ყველასა და ყველაფერზე მზრუნველობას გვპირდებოდა. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, ჩვენს პოსტკომუნისტურ დემოკრატებზე

ში ყველაფერი თავიდან იყო შესაქმნელი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არავინაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური ინდივიდუალიზმის წინააღმდეგი, მაინც ვაკვირის ძველ ღრებულუბებთან დაშმდეგობა. ორი წლის წინათ ახალი მემარჯვენე ხელისუფლება საბაზრო უთიერ-

**ჩვენი მემარჯვენეები იმავე დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, რისი დაძლევა ვერც დასავლეთევროპულ მემარჯვენეებს მოუხერხებიათ, ეკრძოდ - როგორ დააკავშირონ უფსკრულის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ბაზარი და საზოგადოება. ევროპის კონტინენტზე ლიბერალიზმი მხოლოდ ინგლისურენოვან სამყაროში იყო პოპულარული, ამიტომაც კონსერვატორებს ყოველთვის უხდებოდათ თავიანთი მიმდევრების პატრიოტიული და რელიგიური გრძნობები გამოეყენებია.**

თითქმის დამკვიდრებული ყინულის გაღობობას თბილი ადამიანური ურთიერთობებით აპირებდა. მაგრამ ცვლილებათა გზაზე მავალმა ხელისუფლებამ ვერ მოძებნა ის საერთო ენა, რაც მათ პოლიტიკას ამ მიზანს მიუხელოვებდა. შეპირებული სიტობის ნაცვლად, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობის სიმზრუნავად დატარდა.

პოლონელი და უნგრელი ე.წ. მემარჯვენეების ენა (ყოფილი კომუნისტებისთვის დამახასიათებელი) საოცრად ციკლოური და ამდენადვე ეფექტურია. იგი იმ ენის ანალოგიურია, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ასე წარმატებით იყენებენ დასავლეთ ევროპაში. ჩვენი ახალი მემარჯვენეები მეტისმეტად ზრდილი არიან იმისთვის, რომ რაღაცეა მემარჯვენეთა ერთი იმეფელონო, ამიტომაც მათ ნათქვამს აკლია ის ძალი, რაც მასობრივ ემოციებს გამოიწვევდა. როგორც ჩანს, მათი სიტყვა შორს დგას საქმისგან. ისინი საბურთბენ ოჯახის, მორალისა და ერის შესახებ, ხოლო მათი პოლიტიკა მიმართება ნატოსკენ, ევროკავშირისკენ, მასობრივი უცხოური ინვესტიციებისკენ, საერთაშორისო კაპიტალისა და გლობალიზაციისკენ - ანუ ყველაფერი იმისკენ, რაც ძირს უთხრის მემარჯვენეთა ფითვის ფუნდამენტურ ღრებულუბებს.

ჩვენი მემარჯვენეები იმავე დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, რისი დაძლევა ვერც დასავლეთევროპულ მემარჯვენეებს მოუხერხებიათ, ეკრძოდ - როგორ დააკავშირონ უფსკრულის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ბაზარი და საზოგადოება. ევროპის კონტინენტზე ლიბერალიზმი მხოლოდ ინგლისურენოვან სამყაროში იყო პოპულარული, ამიტომაც კონსერვატორებს ყოველთვის უხდებოდათ თავიანთი მიმდევრების პატრიო-

ტული და რელიგიური გრძნობების გამოყენება. დღეს ტრადიციული მემარჯვენეები ამორჩვეულათვის მიზნადვე პოსტკომუნისტურ ხასხა და იმ ლიბერალურ ლინისიტებს შორის აღმოჩნდნენ განხერილი, რასაც ნებისმიერი ახალი ხელისუფლება მიმართავს სწავებში მოსვლას. არჩევანი, რომლის წინაშეც ახლანდეს ავსტრიელი კონსერვატორები იდგნენ, ვერცერთი, რომ ადასტურებს ამ მკვეთრ დიქტომიას. ამ გადასახედთან პიენერი გამოიყურება ანა როგორც კორინთის მთებსა და ვულზე არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი ისტორიული ექსპონატი, არამედ როგორც მომავლის აფგური ევროპის კონტინენტის ყველა მემარჯვენისთვის.

არცულ დიდი ხნის წინათ დიდი მოთქმა-მოთქმა იყო "მემარცხენეთა კრიზისის" შესახებ, როცა პრეტენდელი ლიბერალისტი და აგრესიული სოციალ-დემოკრატები და ევროკავშირისკენ არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. არჩევანი უნდა მომხდარიყო, ერთი მხრივ, ძველ სოციალისტურ ტრადიციებსა და მეორე მხრივ, ახალი ესტრისის ტრადიციებსა და თანამედროვე ეკონომიკის იმპერტივებს შორის, ასევე ყველაფერი შრომითი კავშირებსა და ძველ მემარცხენეების სხვა პოლიტიკურ პასტიონებს შორის. მემარცხენეებმა, როგორც ჩანს, ვერ იპოვეს პასუხი მათ წინაშე მდგარი კითხვებზე, მაგრამ იმ საბნის პრინციპით, რომელიც პოლიტიკური მეთოდების და რატორიკის ნაკვეთით არის შეტვირთი, მათ სცვიან შუაგულში დაბრუნება მოახერხეს. აბად-დროულად, მემარჯვენეთა ენერგიული სვლა ბაზრის, გლობალიზაციისა და ინდივიდუალიზმისკენ, რომლის შეჩერება ტექტირისა და რეივანის პერიოდში და მოყოლებული შეუძლებელი ჩანდა, მოულოდნელად მკვეთრად დამუხრუჭდა. ერთი სიტყვით, მემარჯვენეთა კომუნისტური ტრადიციებისა და ნაციონალისტური ნარსულისთვის სასიცოცხლო სულის შთაბეჭდა, შესაძლოა, ისეთივე ძნელი აღმოჩნდეს, როგორც ძველმოდური სოციალიზმის თუ ახალი ნესრისის პოპულარობისთვის.

▲



ანკრა ბაჩიძე

მსოფლიო მანდელშტამმა პოეზია ბეჭდის თვალს შეადარა, რომელშიც კრისტალები გარკვეული წესრიგითაა განლაგებული. ეს შედარება სიტყვიერი ხელოვნების თავისებურებას აღნიშნავს და ჩვეულებრივ აღწერილობას უპირისპირდება. მანდელშტამი სწორედ სიტყვიერ ფენომენში გასაგებებულ მატერიალს მიჩნევს პოეზიის უმთავრეს თვისებად და თხრობით-აღწერილობით მომენტს ენობრივ სიმჭიდროვეს უპირისპირებს. აქედან გამომდინარე, პოეზია უპირველხად აზრის გაშლა, აზრის განფენა, აზრის ილუსტრაცია კი არ არის, არამედ სიტყვის მიერ ელფერთა, ნიუანსთა, ბგერაფერულ ხანაცვლებათა ერთობლიობაა.

პოეზია სინამდვილის კონდენსირებული ფორმაა, ის მუდამ შეკუმშული სახით არსებობს, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ამბობს და ამათ განსხვავდება ჩვეულებრივი ყოფით-პროზაული მეტყველებისაგან.

სხვათა შორის, აქ იქნენ ხოლმე თავს ერთი ფუნგებობა. სწორად ყოველდღიური უჩვეული სიტყვათკავშირი პოეზია შეგონია, არადა, ხელთ არაფრისმსოფელი უსიტყვეებები, ბუნდოვანი ფრაზები, მოზანსადენილი სიტყვები შერეული ხოლმე ადვილი "პოეტური დეჟავოაჟი" პოეზიის არის არასწორი გაგების შედეგია. საქმე ისაა, რომ ლირიკული სუბიექტის რთული სულიერი ძვრების გამომავლებად სწორედ ის რომ განსაკუთრებულად უზუსტ, ადვილდებური მხატვრული ენაა საჭირო, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტის ნიჭიერების ენის დავარული შრეების გამოწვეურება ავლენს. პოეტმა თავისი როული განცდა რთული ენობრივი კომბინაციების მეშვეობით უნდა გამოთქვას. აქ კი მართლაც რომ განსაკუთრებული სიზუსტის გარეშე ლამაზი ფუჭსიტყვაობა იჩენს თავს. პოეტი სწორედ ის არის, ვინც თავისი სიღრმისეული განცდის და მისი გარეგნული რეალობისთვის უზუსტ თანხედრის ახერხებს. ეს, რა თქმა უნდა, ინტუიციის დონეზე ხდება. და ხდება არა ყოველთვის, არამედ მაშინ, როცა პოეტს შთაგონებად წოდებული განსაკუთრებული მდგომარეობა ეფუძვება.

დღეს სწორად ლაპარაკობენ პროზაული ნაკადის შექრანზე პოეზიაში. ეს პროცესი სიღრმისეული მომენტების მომცველია და მხოლოდ ყოფითი ატრიბუტიკის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულში არ გამოიხატება. ლირიკული სუბიექტის საარსებო გარემო, მის გარემომცველ ნივთებში და საგნებში არეკლილი ყოველდღიურობა, ზოგჯერ მისი ძალზე მინიერი ფიქრი და წუხილი ხდება პოეტის თვალახედვის არეში. როლვე ამბობდა, ირონია საგანთა სიღრმეში ვერ აღწევსო, მაგრამ ამ

# პოეზიაზე ფიქრის უფლება

ნათქვამის პოეტებს არ შემინებიათ და არათუ ირონიით, ნატიფი იუმორითაც კი განაზავეს თავიანთი პოეტური მეტყველება. მაგრამ პოლიტიკის და ტელევიზიის და გალარისკის ლექსები, სადაც მახვილგონიერება სწორედ იუმორისტულ ელფერს იძენს. ქართველ პოეტთაგან შოთა ჩანტლაძემ ჩამოაყალიბა გარემომცველ სინამდვილეს პირქუში სერიოზულობის საბურველი და ქალაქური ყოფა ყოველდღიურობის ქრონიკაში მომდინარე კაცის თვალთ დანახა. მისი ღიმილი ნაღვლიანია, მაგრამ მაინც ღიმილია. ჩემი აზრით, როდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ღიმილარევი ინტონაციის მეშვეობით მოახერხა მან სამჭოთა ტრატალიტიზმის სერიოზულ მოქალაქეობრივ აპათიის განწყობილება გადამოეცა. სწორად მასხვდება მისი ერთი ლექსი. სკვერში, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი პოეტი თვლეს და ხეებში მიმაღლილი რკპირ-დუქტორიდან გამონღულ მონიტორულ ლაპარაკს ისმენს. ეს ლაპარაკი უფრო ღრმა ძილ-ბურანში სძირავს მას. "რადღია მომინოდებს შრომისაკენ", - წერს შოთა ჩანტლაძე და ცხადია, რომ აქ ის იღიბება, ოღონდ არა ნაღვლიანი, არამედ ლტოვარგიული ძილთ გააქტივებული მწარე ღიმილით. სიმართლის მთქმელი ამ ღიმილის გამო პოეტის ლექსების გამოქვეყნება კარგახნით გაჭანურდა.


როცა პოეზიის სფეროში პროზაული ნაკადის შექრანზე ანუ პოეტური და პროზაული რეალობის მშვიდობიან თანაარსებობაზე ვფიქრობ, მაინც კლასიკურ ნიმუშად სოდასევიჩის პოეზია წარმოიდგება. რუსულ პოეზიაში საერთოდ მეკვთრად განსხვავებული ხელწერის პოეტები არსებობენ და სრულიად არ არის ძნელი პროზაული რეალობის პოეტურ მასალაში გარდასახვას შეაკვლიო. საქმე ისაა, თუ რამდენად მატყვეული და ცოცხალა ლირიკული გმირის ხასიათი. რამდენად მკა-



შოთა ჩანტლაძე

ფოთა მისი სახე, რამდენად ვრცელია მისი სამოქმედო არე. როცა ვკითხულობთ ამა თუ იმ პოეტის ლექსებს, ჩვენს წინაშე მკაფიოდ უნდა წარმოედგეს ის ადამიანი, ვინც ამ ლექსების მიღმა დგას. ჩვენ უნდა ვგრძობადეო მისი სულის უმნიშვნელო მოძრაობასაც კი, რომელიც მნიშვნელობას მისივე ვრცელი სულიერი პანორამის ფონზე იძენს. პროზაული მასალის განზავება პოეტურ სუბსტანციაში სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ლირიკული გმირის ხატი ხელშესახები გახდეს.

ჩემი აზრით, სოდასევიჩის სხვადასხვა ციკლებში ძალზე გაჭვივრავლედ ჩანს ის ფარული დრამატურგია, რომლის სიღრმეშიც გმირის ხასიათის თვისებები იკვანძება. სოდასევიჩის ლექსებს აზრის და განწყობილების პუშკინისეული გაჭვივრება უნდა ახლავს, ამავე დროს მისი ენობრივი ქსოვილი თითქმის ტლანქია და უხეში, მძიმე და მოუქნელი, მაგრამ ყოველგვარ ამის მიღმა ლირიკული გმირის



სწორედაც რომ პლასტიკით და დახვეწილობით აღბეჭდილი ხატი იკვეთება. ამ პლასტიკას შავი იუმორის, სკეპტიციზმის, პრანული სენტენციების ნაზავი ქმნის. საერთოდ ხოდასვეციჩის ლირიკული სუბიექტი ანტიპოეტური თვისებების მქონე არსებაა. მისი ხედვის რაკურსი უფრო საგნების ჩრდილოვანი მხარეებს აღბეჭდავს, მისი სკეპტიციზმი გამჭირიხი და ფხიზელი გონების ნაყოფია, ის არ არის მეოცნებე და სვედიანი, პირიქით, თითქოს გულგრილია და რდელექსიის მტანჯველი სენით შეპყრობილი. ჩემი აზრით, XX საუკუნის ბოლოს სწორედ ასეთი პოეზია იქცევს ყურადღებას. ეს არის პოეზია, რომლისთვისაც ტრადიციული ფორმა ნიღაბია, ცრულსამოსელია, ვინაიდან ის არანაირი ნიშნით არ შეიძლება ტრადიციულობის ჩარჩოებში მოთავსდეს. ერთი შეხედვით, ხოდასვეციჩის პოეზიის შთაფარი გმირი შინაგანად განაწინასწორებული და აუმღვრეველი ვაჟი ჩანს, მაგრამ თუკი კარგად დავაკვირდებით, ეს არის ნერვიული, ღრმად ტრაგიკული ადამიანი. ეს არის ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ ცხოვრობს და არსებობს XX საუკუნის კულტურულ გარემოში, არამედ ამ გარემოს ცველავ მგრანძობიარე ნაწილიცა და აქედანვე უყურებს თავის თავს. თუკი ალექსანდრ ბლოკს საბედისწერო კატაკლიზმების და სამყაროს დაღუპვის მუდმივი განცდა უკარგავდა მოსვენებას, თუკი კლატკინონ ტაბიძე ამბობდა, მსოფლიო ნგრევითა კვლავ მონშე გავხდებითო, ხოდასვეციჩი დღეს, უფრო სწორად, არ აშფაფენებს წინასწარმეტყველურ ალტკინებას. მისი ტანჯვა ყოველდღიურობაშია განხვეწილი და უფრო პროზაული ნიშნით ვლინდება. მაგრამ ერთი ლექსი, სადაც ძილგატყბილი პოეტი მოუსვენარი ღამის გამო წუხს. ის თურმე მთელი ღამე რადიოს უსმენდა და მსოფლიოს მშფოთვარე მაჯისცემას იყო მიზნდებული. გამთენიისას თითქოს თანდათან თავისუფლდება და მირბეგუნელი და, ამავე დროს, მომწუსხველი რადიოტალღების ტყეებისკან.



ხოდასვეციჩის ლირიკული გმირი ჩვეულებრივად ადამიანია, პოეტი სწორედ მის ჩვეულებრიობისას, თითქოს უბრალოებასაც წარმოაჩენს. ოღონდ ერთია: ამ ჩვეულებრივ ადამიანში არაჩვეულებრივად მკაფიოდ ჩანს XX საუკუნეში გახსოვრებული ღირებულებები. ხოდასვეციჩი, როგორც შესანიშნავი ალბომისტი, ბუნებრივად განაზავებს პოეტურ სუბსტანციაში პროზას. პროზაიკოსისთვის დამახასიათებელი დეტალს შეგრანდება მის ლექსებში აშკარად და შეუნიღბავია. ერთ ლექსში ემგრანბნე კაცის უთხოვრობა და მარტოსულობა ნიშანდობლივი დეტალით გადმოცემული. სასაუზმოდ შესული პოეტი მინის ტიხარს მიღმა იოურება. მოულოდნელად ქუჩაში ტრამვაი გამოივლიდა და ტრამვის მინაში ირეკლება სასაუზმის მინის ტიხარც და პოეტის სახეც. ხოდასვეციჩში საკუთარი განოსახულება მოჭირალი თავის ასოციაციას აღძრავს ეს ასოციაცია მეთხველზეც შემზარავი მარტოობის და განწირულობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**ჩემი აზრით, მწიგნობრული ინერციისგან განთავისუფლებაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა პოეტისთვისაა. აქ მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ პოეზიაში გამუდმებით იყრის თავს გაქვევებული კლემები და სტერეოტიპები, მათი დაძლევა კი არტუთ უბრალო საქმეა. სწორედ ინდივიდუალური პოეტური რეგისტრის მიგნება, ახალი სამოქმედო სივრცის მოძიება, ჯერ გამოუყენებელი პროზაული-ყოფითი საგნების და მისდა კვალად ლექსიკის ტრადიციულ პოეტურ არსნალში შეტანა არღვევს სტერეოტიპებს.**

ლორკული სივრცის გაფართოება, მისი ყოფითი დეტალებით გამდიდრება, როგორც ვხედავთ, ხელოვნურად არ შეიძლება მოხდეს. თანადრეგულიის მძაფრი შეგრანდება პოეტის პროფინებაზე დამოკიდებული, მის მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერზეც ეს მსოფლმხედველობა ტრადიციული ფორმის ფლობის, ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილების ხარჯზე უნდა შემუშავდეს.

